# არ არის ჩვენგან ის, ვინც სილებს ურტყამს(თავის) ლოყებს, ჭრის საყელოებს და წარმოთქვამს უვიცობის ეპოქის გოდების სიტყვებს

აბდულლაჰ იბნ მას'უდისგან გადმოცემულია, რომ მან თქვა: თქვა ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას): «არ არის ჩვენგან ის, ვინც სილებს ურტყამს(თავის) ლოყებს, ჭრის საყელოებს და წარმოთქვამს უვიცობის ეპოქის გოდების სიტყვებს».
[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აკრძალა და გააფრთხილა გარკვეული ქმედებებისგან, რომლებიც დამახასიათებელი იყო უვიცობის ეპოქის (ჯაჰილიის) ადამიანებისთვის, როდესაც თქვა: „არ არის ჩვენგანი ის, ვინც: ... პირველ რიგში: ის, ვინც სილას ირტყამს ლოყებზე (ან სახეზე). მოციქულმა განსაკუთრებულად აღნიშნა ლოყები, რადგან ეს ქმედება იყო ყველაზე გავრცელებული, თუმცა ამ აკრძალვაში ასევე შედის სახის სხვა ნაწილებზე დარტყმებიც. მეორე: ის, ვინც ძლიერი მწუხარებისა და სასოწარკვეთის გამო ხევს ტანსაცმლის იმ ნაწილს, საიდანაც თავი გადის (საყელოს). მესამე: ის, ვინც მოუწოდებს უვიცობის დროის ჩვეულებებისკენ, როგორიცაა წყევლა, უბედურებებზე კივილი, გოდება და გარდაცვლილთა დატირება.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/5380

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee